



# საქართველო

# რეპუბლიკა

შსსი 3 მან. მოსახლეთი, მაისის 12 1920 წ.

მთავრობის მოაგება, უფლებდლონი გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა ვაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თეთრ 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტრის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამკლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1-82.

## საქართველოს ცენტრალური საჯარო-სამრეწველო ბანკის

(ცენტრო-ბანკის) გამგეობა ამათ აცხადებს ბ.ბ. აქციონერების საყურადღებოთ, რომ თანახმად ბანკის საჯარო დადგენილებით, ამა წ. 21 მარტიდან მეორე ნახევარი 50 პროცენტი—ხუთასი მანეთი თითო აქციაზე—შემოტანილი უნდა იქნეს ამა წლის 1-10 ივნისს:

ტფილისში—ცენტრობანკში. ქუთაისში, ბათუმში, სიღნაღში, ფოთში, სენაკში, სოხუმში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ზესტაფონში, სამტრედილაში, კიათურაში, ზუგდიდში, ხონში და გორში—საურთიერთო ნდობის ბანკებში.

შენიშვნა: თუ ვადაზე არ იქნა შეტანილი სრულად აქციების მეორე ნახევარი, თანახმად წესდების § 9, ხელის მოწერის ვადასდებდა ბანკის სასარგებლოთ თითოეული ვადა ვადაცილებულ დღისათვის 5%, სარგებელი და 5% ჯარიმა წლიური ანგარიშის მიხედვით. შემდეგ ამისა ნომრები მოწმობათა, რომლის შესატანი ფულიც არ იქნა გადახდილი დანიშნულ ვადაზე, გამოცხადდება ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ორი კვირის შემდეგ დღიდან განცხადების დაბეჭდვისა, თუ შესატანი ფული მაინც არ იქნა შეტანილი, ბანკის გამგეობა მოვალეა შეუდგეს ამ ნომრების მოწმობათა გაყიდვის ბირჟაზე მაკლერის შემწეობით. შემდეგ ვადა ვადაცილებული მოწმობანი გამოცხადებულ უნდა იქნას გაბათილებულად და ახალ შემდგომ უნდა მიეცეს ახალი მოწმობები იმავე ნომრებითა და აღნიშვნითა, რომ ეს მოწმობები ეძლევა იმათ ვადაზე გადაუხდელ მოწმობათა მაკლერს. გაყიდვისაგან ამონაგები თანხა ყველა ხარჯის, განსაზღვრული პროცენტის და ჯარიმის გამოკლებით გადაირიცხვის იმ შესატანის შესავსებად, რომელიც თავის დროზე არ იყო შეტანილი მოწმობათა უპირულ პატრონთაგან და რაც ამას შემდეგ დარჩება, ის უბრუნდება ამ პატრონებს. ფულის გადახდისათვის საჭიროა წარდგენილ იქნეს დროებითი კვიტანციები.

497 1-1 ცენტრობანკის გამგეობა.

ბაგტეოლოგიის ფარმაციის, და ფარმაცოლოგ., ქირურგიული პათოლ. დიაგნოსტიკის და ფიზიოლოგიის იანვრის 1-დან აწინდელი ჯამაგირის 15 პროც. თითოს თვიურად	5	849	4245	4245	21225
ჯამი					370455
<b>საპროფესორო მოსამზადებლად უნივერსიტეტთან დატოვებულნი:</b>					
ტფილისში ვასაგზანი იანვრის 1-დან სავ. გულ თითოს 30.000 დამატებით	8	10000	50000	80000	400000*
ჯამი					240000
ჯამი					640000
<b>უნივერსიტეტის გამოცემათათვის:</b>					
შრიფტის შესაძენად					130000
პროფესორ ე. თაყაიშვილის ქართულ ხელოვნების ძეგლების ალბომის გამოცემა					300000
სამეცნიერო გამოკვლევათა ტექსტებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა					1300000
ჯამი					1730000
<b>2. დაწესებულებანი:</b>					
დაწესებულებათა მოწყობის ერთდროული ხარჯი.					
<b>ლაბორატორიები და კაბინეტები:</b>					
სიბრძნის მეტყვ. ფაქულტ.					
საექსპერიმენტო-ფიზიკოლ. კაბ.					90000
ფიზიკ.					40000
ხელოვნების მუზეუმი					20000
საფოტოგრაფიო კაბინეტი					60000
ჯამი					210000

შენიშვნა: 1) საბავშვო ვადამყოფობანი, ჰისტოლოგია, პათ. ანატომია საზოგადო პათოლოგია და ფიზიოლოგ. ქიმიკა.

შენიშვნა: 2) თერაპ. პლ. გამგე, ქირურგ., სამშობ. და გინეკოლოგ., ნერ., ავადმყოფ. თეტიმოლოგ. დერმ. და ვენერ. სასამართ. მედ. და ჰიგიენა.

შენიშვნა: 3) ფიზიოლოგიის 1, და ნორმალ. ანატომიის 1.

შენიშვნა: 4) თერაპ. კლ. 1, ქირურგ. კლ. 1, სამშობ. და გინეკოლ. 1, ნერვების 1, თვალთა 1, კანისა და ვენერ. 1, სასამართლ. კათედრ. და გიენისა 1.

შენიშვნა: 5) აქედან 5 სიბრძნ. მეტ. ფაკ. 3 საშათემატ. საბუნების მეტყვ. 1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

## დ ე კ რ ე ს ი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აღმინისტრაციული ნაწილის ინსპექციის შტატის დამატებისა.

1. 1919 წლის იანვრის 30-ის კანონით დამტკიცებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს აღმინისტრაციული ნაწილის ინსპექციის შტატის (კან. და მოთავ. განკ. კრებ. 1919 წ. № 3 კან. 19) დამატების ამა 1920 წლის მაისის 1-დან ერთი (1) მინდობილობის მოხელე, ორი (2) კანცელარიის მოხელე, ერთი (1) მანქანით ვადაწერი და ერთი (1) შიკრიკი.

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს აღმინისტრაციული ნაწილის ინსპექციის თანამდებობის პირთ 1919 წლის ნოემბრის 1-დან მიეცეს ჯამაგირი თანახმად ამ დეკრეტთან დართული ნუსხისა.

3. მეორე (2) მუხლში აღნიშნული შტატის საკორექტივისათვის ვაცემულ იქნეს სახელმწი-

ფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ყოველთვიურად სამოცდა ერთი ათას ორას ორმოცდა ათი (61250) მანეთი, ხოლო 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე სამას სამოცდა ოთხმეტი ათასი (374.000) მანეთი.

4. შინაგან საქმეთა სამინისტროს აღმინისტრაციული ნაწილის ინსპექციის შტატზე ვავრცელებულ იქნეს ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აპრილის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

23 მაისს დილის 11 საათზე ქ. ტფილისში (ფრეილინის ქ., № 11) დანიშნულია

## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა

## საჯარო რეპუბლიკის კრება,

განსახილველი საგნები: 1) ანგარიში პალატის თანხებისა; 2) ანგარიში პალატის მოქმედებისა, 3) ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლისა; 4) აირჩევა კომიტეტის წევრებისა ნაცვლად ორი წევრისა, ომელნიც კომიტეტიდან გადიან თანახმად წესდების 21 §-სა.

თუ კრებას არ დაესწრო წევრთა კანონიერი რიცხვი, თანახმად წესდების 37 §-სა, მეორე კრება, რომელიც შესდგება 24 მაისს, საღამოს 6 საათზე იქვე კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

956 3-3 პალატის კომიტეტი.

## გ ა გ ე რ ბ ა

## ქართული სავაჭრო ბანკისა

### ქ. ფოთში

## ამით ახსადებს გ. ახშირეაშვილის საპროფესორო

რომ მეორე ნახევარი 50% ტ., ხუთასი მანეთი თითო აქციაზე უნდა იქმნეს შემოტანილი არა უგვიანეს

## პირველ ივლისისა ამა წლისა,

აღნიშნული ბანკის საღაროში. ვინც აღნიშნულ ვადაზე ფულს არ შემოიტანს სრულად, თანახმად ბანკის წესდების 8 მუხლისა, ვადასდებდა ხელმომწერლების ბანკის სასარგებლოდ ყოველ ვადაცილებულ დღეში 5% ჯარიმა და 5 პროც. პენია წლიური ანგარიშით. და ნომრები ფული შემოუტანელ აღნიშნული ვადაზე მოწმობებისა იქნება გამოცხადებული „საქართველოს რესპუბლიკა“-ში და ამ განცხადების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ფული თუ არ იქნება სრულად შემოტანილი, გამგეობა ვალდებულია გაყიდოს ბირჟაზე მაკლერის საშუალებით ყველა მოწმობები, რომლითაც ფული არ შემოუტანია იმ ნომრებით, რომელიცყო გამოცხადებული. შემდეგ ვადა ვადაცილებული მოწმობები გამოცხადებული იქნება გაუქმებულად და ახალ მყიდველებს მიეცემა ახალი მოწმობები იმავე ნომრებით, იმ აღნიშვნით, რომ ეს მოწმობები მიეცემა ძველის მაკლერს თავის დროზე ფულის გადაუხდელობის გამო. აღებულ ფულიდან ამ მოწმობების გაყიდვისაგან ყოველივე ხარჯი და პროცენტის გამოკლებით დაუბრუნდება თავიანთ პატრონს.

## ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 16 მაისს დანიშნული არის საჯარო ვაჭრობა ჰოსპიტლის ძველი საქმეების და დავთრების გასასყიდათ. ვაჭრობა დაიწყება დილის 11 საათზე. 988 1-1 მეურნეობის გამგე ამბოკაძე

## ო. ფ. ი. ც. ი. ა. ლ. უ. რ. ი. გ. ა. ნ. შ. ი. ლ. ე. ბ. ა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1919-1920 წლ. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

თანამდებობის პირნი და დაწესებულებანი.	თ ი თ ო ს.		ყ ვ ე ლ ა ს.	
	თვიურად.	საბოლოო ტო. წლის ბოლომდე.	თვიურად.	საბოლოო ტო. წლის ბოლომდე.
<b>სამკურნალო ფაკულტეტი.</b>				
პროფესორს იანვრის 1-დან	5	5660	28300	28300
პროფესორი მაისის 1-დან	8	5660	452800	452800
ასისტენტს იანვრის 1-დან	2	4000	20000	8000
ასისტენტი მაისის 1-დან	8	4000	32000	32000
ლაბორანტი დიაგნოსტიკის კლინიკის იანვრის 1-დან, ასისტენტის ჯამაგირით	1	4000	20000	4000
ბეზია სამედიკო კათედრასთან იანვრის 1-დან, პრეპარატორის ჯამაგირით	1	2800	14000	2800
ზედამხედველი, იმავე კათედრასთან, იანვრის 1-დან, პრეპარატორის ჯამაგირით	1	2800	14000	2800
ზედმეტი ვასამრჯელო პრაქტიკულ ვარჯიშობისათვის პროფესორებს ნორმალური ანატომიის, ტოპოგრ. ანატ., ჰისტოლოგ., პათოლოგ. ანატ. ფიზიოლოგიურ ქიმიის იანვრის 1-დან აწინდელი ჯამაგირისა 30 პროც. თითოს თვიურად	5	849	8400	8490
				42450

შესანი და ხარჯთ-ალრიცხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აღმინსტრაციული ნაწილის ინსპექციისა.

Table with 5 columns: № რიგში, თანამდებობისა და ხარჯის სახელწოდება, თანამდებობის ბიუჯეტი, თვითმუშაობის თვეები, ყველას თვე-რად., შენიშვნა.

1920 წ. აპრილის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი.

არა ოფიციალური განმარტება

სადღესო შენიშვნები

კიდევ გამარჯვება.

საქართველო დღიდან თავის არსებობისა მხოლოდ და მხოლოდ სწორი გზით, სალი პოლიტიკის წყალობით იმარჯვებდა.

ამას ნათლად ადასტურებს საქართველოს მიერ განვლილი გზა, მისი ისტორია. და თუ ასეთი პოლიტიკა თანდაყოლილ თვისებას შეადგენდა ძველი, ფეოდალური საქართველოს შესვეფერებისას, ეს უფრო თამამად იტყვის დღეს, დემოკრატიულ საქართველოსა და მისი ხელმძღვანელ-მეთაურების შესახებ.

სხვა და სხვა კუთხიდან საქართველოს საზღვრებთან თუ შიდა საქართველოში მოქმედ მტერთა შორის უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა ჩრდილოეთიდან მომდგარ მტრებს რუს-კომუნისტების სახით.

ზავნიდა, რაზედაც საქართველოს მთავრობა ყოველთვის მორიდებულადა, აკედემიურის კი-ლოთი ახერხებდა დასახულებულის პასუხის გაცემას, რადგანაც სწამდა, რომ ადრე თუ გვიან მოხდებოდა შერიგება და ფრთხილბოდა ჩხუბის დროს ისეთი რამ არ წამოცდებოდა, რომ შერიგების დროს სამარცხვინო ყოფი-ლიყო... მაგრამ კმარა, რაც იყო, იყო შერიგების დროს მეგობრები წარსულ სამტრო ურთიერთობის შესახებ აღარ ლაპარაკობენ, დღეს მხოლოდ ფაქტს უნდა გაუჩიოთ ანგარიში, შერიგების, მეგობრობის, კეთილშეგობ-ლური განწყობილების ფაქტს, მწარე წარსუ-ლი, ერთმანეთში სიძულვილი ისტორიის უნ-და ჩაბარდეს... რუსეთის ხალხთან ჩვენ ისტორიული კავშირი გვაქვს, და თუ ამ კავ-შირს რუსეთის თვითმპყრობელობის დროს ქართველი ერის დამონება ჰქონდა მიზნად ამი-ერიდან კი მას უნდა ჰქონდეს წმინდა მეგობ-რული, დახმარების ხასიათი; საქართველოს დემოკრატია, მაშინაც კი როდესაც მასთან რუსეთი მტრულად იყო განწყობილი, ცდილობდა საერთო მეგობრული ენის გამოჩახვას, და დღეს რა თქმა უნდა ის ყოველივე ღონისი-მარს რუსეთთან მტკიცე, შეუწყველ, ძმობა-მეგობრობის განმტკიცებისათვის.

თავდაცვისათვის.

მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან შერიგე-ბისა ჩვენ საზღვრებზე მაინც კიდევ ისმის თოფის ხმა. საბჭოთა ადერბეიჯანი ეტყობა არ ცხრება. სჩანს მას დიდი იმედი აქვს პირ-გაისისხლიანებულ ოსმალთა ფაშა-ბეგების იმ-პერიალისტიებისა; ვისთან გვაქვს საქმე?

ვინ გვებრძვის, რუსული ბალშევიზმი, თუ ოსმალ-ადერბეიჯანის თათრობა, ეს ჩვენი მუდმივი დაუძინებელი მტერი. სანამ ნიღაბი არ ჩამოვლებიან, სანამ არ გამოავლენიან მათი ლაჩარი, ადერბეიჯანის ველური გულსითქმა-ნი, სანამ სამუდამოთ არ დაიჩოქებს ეს მღვთის მონა, არ სთხოვს საქართველოს პა-ტივებს უგუნური მტერი, მანამ საქართველო ხმალს ქარქაშში არ ჩასდებს, ამას ავალუბს მას ფილოლოს მიდამოებში მცირე, მაგრამ მაინც წმინდა, უმანკო სახელი, ჩვენ უნდა ვასწავლოთ მტერს თუ როგორ უნდა გამარ-ჯვება...

უკანასკნელმა გამარჯვებამ არ უნდა და-გვაბრძავს; თავდაცვის საქმე დღითი დღე უნდა გავაძლიეროთ. შინაურ ცხოვრებაში სრული წესიერება, მაგარი, ძლიერი ფრონტი და ზურგი. აი საით უნდა იყოს მიპყრობილი მთელი ჩვენი ყურადღება; მართალია მობეზ-რდა ჩვენ ხალხს ამდენი ომი და უსიამოვნება, მას ენატრება მშვიდობიანი ცხოვრება, მაგ-რამ რა გავწყობა ეს აუცილებელია. უკასას-კენელმა მდგომარეობამ იქნება საბედისწერო ხასიათიც მიიღოს—ვანა არ ვიცით ოსმალე-თის გაუმადლობის ამბავი, ვანა არ ვიცით, თუ როგორ გვილესდა კბილებს დასუსტებუ-ლი, დაძაბუნებული ოსმალეთი... ბრძოლა სასტიკი და შეუბრალებელი, კმარა... საქი-როა შეტევაზე გადასვლა, მოსული მტრის დამარცხებული უქმქევა... საქმარისია ერთი მაგარი, ქართველურად გმირული შეტევა, რომ თავზარდაცემული, ლაჩარი მტერი კულ-ამოქუებული დამარცხებული გაიქცეს, რომ ჩვენ დავგრძეოთ სრული გამარჯვება და აი ამ გამარჯვებისკენ მოუწოდებთ ქართველ დემო-კრატისა...

სამხედრო ცნობა

ჩვენი გამარჯვება

ტფილისი, 11 მაისი.

მთავარ შაჰის ცნობა.

გუშინ, 10 მაისს წითელ ხიდის რაიონში ჩვენ ბრძოლით მტერი 4-5 ვერსით უკან დაე-წიეთ. ჯარების უფროსები ერთხმად ადასტუ-რებენ ჩვენი ჯარისკაცების გმირობას. იმა-ვე დღეს ჩვენი ჰაერობლანები მტრის ზურგს ესროდა ყუმბარებს და ჰყრიდა პროკლამაცი-ებს საქართველოს რესპუბლიკისა და საბჭო-თა რუსეთის შორის ზავის შეკერის შესახებ. 11 მაისს დილიდან წითელ ხიდის რაიონში ბრძოლა სწარმოვებ. სხვა მიმართულებებზე სიწყნარია.

თავდაცვისათვის

სალამი მხედრობას

გურიის თემთა წარმომადგენლების ყრი-ლობა სალამს უძღვნის სამშობლოს დამცველ მხედრობას და აღუთქვამს მათ თავდადებულ მუშაობას ზურგის გასამაგრებლად. ოჯახის საუკეთესო შვილები ფრონტზე გაეშურნენ და მათ ოჯახებს თემები უწევენ პატრონო-ბას. არც ერთი მიწის ნაჭერი დაუშუშვებე-ლი არ დარჩება. ამ მხრივ მათი ოჯახები და სამშობლო უზრუნველყოფილია. გაუმარჯოს მხედრობას.

სალამი მთავრობას

გურიის თემთა წარმომადგენლების ყრი-ლობა სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავ-რობას და აღუთქვამს თავდადებულ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკი-ცებაში. გურიის სწამს რომ ეხლანდელი მთავრობის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლე-ბებს და საქართველოს ეროვნული დროშა წითელ დროშასთან ერთად ძირს არ დაე-შვება.

სალამი დამფუძნებელ კრებას

გურიის თემთა წარმომადგენლების ყრი-ლობა სალამს უძღვნის რესპუბლიკის უზე-ნანეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას და აღუ-თქვამს მას სრულს დახმარებას მის ბრძულ მუშაობაში. ყრილობას სწამს რომ დამფუძ-ნებელ კრების ვარშემო შეკავშირებული ქა-რთველი ხალხი უძლეველი გამოვა ყოველ-გვარ დაბრკოლებიდან და უკუ აგდებს ჩვე-ზე მეტპირთ წამოსულ უხეშ ძალებს. გაუმა-რჯოს ხალხის წარმომადგენლებს.

ყრილობის თავმჯდომარე ჰანტურიშვილი

დეკემბერი

(საქართველ. დეკემბრის სააგენტო)

ფრანგული ცნობები.

გაფიცუების შესახებ, რკინის გზის ყველა ხაზზე მდგომარეობა უმჯობესდება. ფიქრო-ბენ, რომ „პომპ“-ზე მომავალ ხეთშაბათს ყვე-ლა მატარებელი ივლისო. პარიზ—ორლენის ხაზზე მატარებელთა რიცხვი გაიზარდა. ამგვა-რადვე გაუმჯობესდა მდგომარეობა სახელმწი-ფო რკინის გზის ხაზზე. ჩრდილოეთში მდგო-მარეობა ნორმალურია. მრავალ ნავთსადგურ-ში მუშაობა განახლდა. რკინის გზელთა, მე-ზღვარეთა და ნავთსადგურის მუშაობა გაფიც-ვის შესუსტების გამო გაფიცვის კომიტეტმა გადასწყვიტა ტრანსპორტის, მშენებელ მუ-შათა და მეტალურგისტიების ახალ კორპორა-ციებს ორშაბათიდან გაფიცვის შეწყვეტისა-კენ მოუწოდოს. საფუძველი გვაქვს ვიფიქ-როთ, რომ ეს განკარგულება ნაწილობრივ იქნება ცხოვრებაში გატარებული. ცნობი-ლია, რომ მიწის ქვეშა რკინის გზის მოსამ-სახურებელმა უარი განაცხადეს ამ განკარგუ-ლების დამორჩილებაზე. რაც შეეხება ტრამ-ვაიებსა და ომნიბუსებს, ეტყობა, რომ იქ მუშათა მცირე ნაწილი გადასწყვეტს მუშაო-ბის შეწყვეტას.

პარიზში მყოფ ბელგიის საგარეო პალატის მიერ გამართული ბანკეტი მისი არსებობის 30 წლის აღსანიშნავად, გადაიქცა საფრან-გეთ-ბელგიის სიმპატიათა გამოცხადების ცხა-რე მანიფესტაციათ. ჟანპარმა და მილიერან-მა გულმზურვალე სიტყვები წამოსთქვეს.

ამერიკული პრესა.

კობლენციდან იუწყებიან: სილენინდან მოსული ცნობით გერმანელები ფიქრობენ, რომ გენერალი ლეფერნი... (დამახინჯებულია) და რომ პოლონელებს საზღვართან ყავთ ჯა-რი, შემდგარი ამერაკელ პოლონელებისაგან... (დამახინჯებულია) რამდენათ დიდა პოლო-ნელების ჯარი სილენის საზღვარზე, თუ რამდენიმე ნაწილი შემდგარია ამერიკის

დაშლილ არმიის ჯარისკაცებისაგან. ეხლა საკითხი სდგას მათი სამშობლოში დაბრუნე-ბის შესახებ. შეკრებილი ცნობებით, დაშ-ლილი ჯარის რიცხვი აღემატება 10 ათას კაცს, აქედან 2,500 ამერიკაში გაემგზავრა 2,500 უცდის ტრანსპორტის დანიცევი, 2,000 კი დანიცევს წასვლამდის ბანაკში იმ-ყოფება, ასე რომ ამ ჟამად პოლონეთის ჯარში არ შეიძლება, რომ 2,000 ზედმეტი ამერიკის დაშლილი არმიის ჯარის კაცი იყოს.

1 მაისს დაწყებული საერთო გაფიცუების მეცხრე დღე, მუშათა ორგანიზაციების გა-ფიცუებულ მოქმედების დღე იყო, რომელ-საც მთავრობა ფხიზლად მოელოდა, იმავე დროს იგი პარიზის მცხოვრებთა დიდი უმე-ტესობისათვის სადღესასწაულო დღე იყო. მთელი დღის განმავლობაში სხვა და სხვა ორგანიზაციებს 41 კრებაზე უფრო ნაკლები არ მომხდარა. ყველაზე დიდი იყო ფოსტა-ტელეფონ-ტელეგრაფის მიტინგი, სადაც გა-ფიცვა პრინციპიალურად მიიღეს და განაც-ხადეს: მასსა გაფიცვისათვის მზათ არის, თუ ამის შესახებ შრომის გენერალური ფედერა-ცია განკარგულებას მოახდენსო. ხვალინდე-ლი დღე საბოლოოდ გადასწყვეტს—წააგეს თუ არა უქიდურესებმა ბრძოლა, რადგანაც ნაციონალიზაცია საზოგადოებრივი... (დამა-ხინჯებულია) რამდენიმე ხნით მოძრაობის უკან დასწევს თუ მთავრობა, შექმნილ მდგო-მარეობის გაველნით, იძულებული იქნება ფე-დერაციასთან მოლაპარაკება დაიწყოს, მუშა-თა ლიდერებმა განაცხადეს: მოძრაობის გა-მარჯვება დამოკიდებულია პარიზის ტრანს-პორტის გაფიცუებზე, რომელიც ხვალ უნდა დაიწყოსო. ვაზ. „პოპულერი“, რომელიც გა-ფიცუებს მხარს უჭერს—სწერს: მთავრობა იძულებული შეიქნება კვირის დამლევაზე მუშებს დაუთმოსო.

ფრანგული პრესა.

ნიუიორკიდან იუწყებიან: ელ-პასოდან მო-სული ცნობით რევოლუციონერებმა ხელში ჩაიგდეს მექსიკა და გენერალი კარანცა ვე-რაკრუტთან იბრძვისო.

ადგილი შესაძლებელია, რომ ვერმანის მთავრობამ უარი განაცხადოს თავის პროექ-ტებს, სპაში დანიშნულ კონფერენციის გადა-ღების თხოვნის შესახებ.

მოკავშირეთა მთავრობა ფიქრობს ისევ შე-უერთოს რუსეთის პრობლემას, რომელიც არ იქნა განხილული კონფერენციაზე... (გამო-ტრავებულია) აღმოსავლეთის ფრონტი ახალ ფაზაში შედის.

„უფროსი დედება“ სპაში კონფერენციის დანიშვნის ვადის გამოურკვევლობის შესახებ სწერს: ადვილად მიხვდებით თუ რა მო-ტრავებით ხელმძღვანელებს გერმანია. როდე-საც ის კონფერენციის გადადებას მოითხოვს, მაშინ სრულიად არ არის ნათელი ის, თუ რა სარგებლობა აქვთ მოკავშირეებს დაუსრუ-ლებელივ გადადონ დრო, როდესაც გერმანია უნდა დადგეს ანტანტის მიერ წინად დამ-ტკიცებულ და გადაწყვეტილ სანამდვილეს წინაშე. არ უნდა დაგვაოწყდეს, რომ მო-კავშირეთა სახელმწიფოების მეთაურები სან რემოში შეთანხმდნენ.

რომ სპის კონფერენცია უნდა იქნეს წინა-მორბედი ბრიუსელის კონფერენციისა, რომელიც დიდი ხანია განზრახულია და რომე-ლიც ვეროპის ფინანსიურ და ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენად აუცილებლად მიან-ნია ყველა ნეიტრალურ და მოკავშირე სა-ხელმწიფოებს. ბრიუსელის სხდომები არ შე-იძლება კიდევ გადაიდგას და ჩვენ არ ვფიქ-რობთ, რომ შინაური პოლიტიკის არგუმენ-ტი, ან არჩევნები, რომელსაც გერმანიის კა-ბინეთი აყენებს, ისეთი ხასიათის იყოს, რომ აიძულოს მოკავშირეები სპის კონფერენცია დიდის ხნით გადასდოს.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: იაპონიის ეხ-ლა არაფერი საწინააღმდეგო არ აქვს ბანკი-რების კონსერტიუმის შედგენისა ფანეთისათ-ვის სესხის მისაცემად. იაპონიამ მოამზადა ნოტა, რომლის ძალით ის იღებს ყველა პი-რობებს, რომელიც წამოაყენა ინგლისმა, ამე-რიკამ და საფრანგეთმა.

ვაკრობა-მრეწველობის მინისტრმა იზაკმა შაბათს მიიღო ბელგიის ვაკრობა-მრეწველო-ბის მინისტრი ჟანპარი. საუბარი შეეხებოდა ორივე ქვეყნის ეკონომიურ დამოკიდებულო-ბის ზოგადი საკითხს.

ბ ა ქ ო

— დაპატიმრებულია 90 ინგლისელი თა-ნამდებობის პირნი. დაპატიმრებულია აგრეთ-ვე პოლონეთის მისიის მთელი შემადგენლო-ბა. „ჩრდევნიანთა“ ენერგიულად შეუდგა თავის საქმეს.

— ბაქოში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის საგანგებო კომისიარი ჩრდილო-კავკასიაში ორჯონიკიძე. ნარიშკინი ბაქოში აღარ არის.

# კავკასი

— „ჩრდეთკავკასია“-ს ბახუნის ბრძანებით კ. კავკასი აკრძალულია ყოველგვარი კრებები, რომლებსაც ხშირად საავტორიტარო ხასიათი აქვთ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.  
— არა ნაკლებ შეზღუდულია მოქალაქეთა მდგომარეობა რკინის გზაზე მიმოსვლის გამო. თუ საჭირო ნებაღება არა გაქვს არსად გაიშვებენ. თვით სახელმწიფო მოსამსახურეთა ც. ნებაღებები უშვებენ რკინის გზებზე.  
— სახალხო განათლების საოლქო რევიკომის ყველა საფუნდურის სასწავლებლებში გაუქმებულია საღმრთო რჯულის სწავლა. საღმრთო რჯულის მასწავლებლები გადაყენებულნი არიან თანამდებობიდან.

— ქალაქში დონის ფულებს მეტი გასაყვადი აქვს „პრევიოსის“ ფულებზე. ბახარზე ხურდა ფული სულ აღარ არი.  
— სასურსათო კრიზისი დღითიდღე მწვავედება; ფასებიც ყველაფერზე მატულობს.

## ახიარ-კავკასიის რესპუბლიკის კათა წარმომადგენლების კონფერენცია (იქში № 11)

დაესწრენ: აღმრებიჯანის რესპუბლიკიდან ე. ბ. ავაგი, ო. ბ. კრიზინსკი, ფ. ბ. ვეკილოვი, ფ. ხ. ზიგოვი; სომხეთის რესპუბლიკიდან ს. გ. მაგიკონიანი, ა. ი. ოვანჯიანი, ს. ა. ხაჩატურიანი, ტ. ა. ბეგზაძე; საქართველოს რესპუბლიკიდან: ე. პ. გეგეჭკორი, გ. ფ. მაზარაძე, ვ. ვ. თევზია. თავმჯდომარეობს ს. გ. მაგიკონიანი. თავმჯდომარე ხსენის რა სხდომას, აცხადებს: შემოვიდა განცხადება ნახიჩევანის სომხურ სათვისტომოდან, რომელშიც იგი აღნიშნავს რა სოფ. ასტარაკში (ნახიჩევანის მაზრა) სომხების მძიმე მდგომარეობას, ითხოვს ამ სოფლიდან გამოსვლის შეძლება მიეცეთ. განცხადების ტექსტი: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას. ნახიჩევანისა და მისი რაიონის სათვისტომოს გამგეობის განცხადება. კავკასიაში მყოფ ინგლისის უმაღლეს სარდლობის განსაზღვრით ნახიჩევანის რაიონი შეუერთეს სომხეთს და მცხოვრებნი დაუბრუნდნენ თავიანთ ბინებს. 1919 წ. მისში მაზრა ჩამოაცილეს სომხეთს და მცხოვრებნი ამოვიტეს. მხოლოდ ს. ასტარაკის (ტაშკენტის) მცხოვრებნი კაბლაი მუხტარის (ახლო სოფლის მამასახლისი) ენერჯითა და კაცთმოყვარეობით გადაჩინდნენ. მთელ ქვეყანას ჩამოცილებული, ეს მცხოვრებლები დიდ გაკვირებასა და სიმშოლს იტანენ. რამდენიმე ასი ოჯახი მარჩენელი— ასტარაკელი სცხოვრობს ასტარაკის გარემო ამიერ-კავკასიის მიდამოებში. მაგრამ, საუბედუროდ, საშუალება არა აქვთ დაეხმარონ ოჯახებს. ფრიად სამწუხარო მდგომარეობა შეიქმნა. ოჯახი განიკდის უკიდურეს ვასაჰის შიმშილით იხორცება, ოჯახის მეთაურსა და მარჩენალს საშუალება არა აქვს დაეხმაროს, და ტანჯვით უნდა აიტანოს თავის მახლობლის სიმშოლით სიკვდილი. მცხოვრებთა გამოყვანის ცდა აქაბა სოფ. ასტარაკთან უნაყოფოდ ჩაიარა მდგომარეობა კი თანდათან უარესდება და საჭირო და გადამწყვეტ ზომების მიღებას მოითხოვს. ნახიჩევანის სათვისტომო ამიერ-კავკასიის კონფერენციას ნიშნავს თხოვნით, რომ მან საშუალება მიეცეს მსურველთა სოფ. ასტარაკის დატოვებისა. ტფილისი, 15 აპრილი 1920 წ. № 98.

გამგეობის თავმჯდომარე (ხელმოწერილია), გამგეობის წევრები (ხელმოწერილია), გამგეობის მდივანი (ხელმოწერილია). განცხადება პრეზიდენტი განკარგულებული გადასცეს. შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს თუქორშიშიდან მოსულ დეპუტების შესახებ. დეპუტა გადაეცა პრეზიდენტს განკარგულებისათვის.  
გაგვი იუწყება, რომ მოვიდა 3 დეპუტა აქედან ერთი უსურველიდან (ყაზახის მაზრა) შემდეგი შინაარსის: ამიერ-კავკასიის საზავო კონფერენცია, ავაგი. — ამით ვაუწყებთ ტფილისის საზავო კონფერენციას, რომ 18 აპრილს სად. უსურველი და აღმრებიჯანის ყაზახის მაზრის და სომხეთის დელიჯინის მაზრის წარმომადგენლებს შორის მოხდა საბოლოო შეთანხმება საზღვრებზე სისხლის შეწყვეტისა და ლტოლვილების უკან დაბრუნების შესახებ. ოვერსეს ჯაგეტანი, ისკანდერ მურადოვი. მეორე დეპუტა ბაქოდან ნ. ბ. უსურველისაგან: ტფილისი, მინისტრის ფაქალი ხან-ზოელს. ტფილისიდან მოსულ ყარაბახის დე-

ლევაციის მოლაპარაკებიდან გამოიჩვენა, რომ ყარაბახში მათი წასვლის მიზანია სახმელრო მოქმედების შეწყვეტა და მოხმადარი ამგებების მიზეზების გამოკვლევა. ამგვარად სხვა საკითხების მთელი წყება ზანგებურში წინად არსებულ მდგომარეობის აღდგენის შესახებ და დამოკიდებულება იმ პირობათა შექმნის საკითხთან, რომელიც მომავალში შესაძლებელ შეიარაღებულ შეტაკებას ხელს შეუშლის, დელევაციების განცხადებით, მათ კომპეტენციის იარ შედის. ამიტომ აუცილებელია ნათლათ გამოირკვეს როლი და კომპეტენცია დელევაციისა, წინააღმდეგ შემთხვევაში განზრახული მიზნების საერთო მაშტაბით განხორციელებას ვერ მივაღწევთ. 18 აპრილი, 404 №, მინისტრ თავმჯდომარე უსურველი. მესამე დეპუტა ბაქოდან არის ჩალღირის ამგების შესახებ. მისი შინაარსი შემდეგია: ტფილისი, ადერბეიჯანის დელევაციას: ეხლახან მივიღე დეპუტა ყარაის ოლქში მუსულმანების დევის შესახებ. ჩალღირში სომხებს დაუპატიმრებიათ: 1. ქიაშილ ალა პრუტსკი, 2. ქიაშილ ალა კოროველსკი, 3. ვისალ იუსუფ ოღლი, 4. ხასან ალა და 5. აბდულა ალა გავივი. დანარჩენი 25 საპატიო მიიმალა. მცხოვრებლებს გადახედვის 2 მილიონ მანეთამდე. ჩამოერთმევიათ დიდძალი შინაური საქონელი, ხდება ჩხრეკა, ართმევენ მრავალი იარალს. მრავალია ვალახული. იყო სიკვდილის შემთხვევა. ნაზარ ალფი. თავმჯდომარე წინააღმდეგს იძლევა პირველი დეპუტა ყაზახის შესახებ შეიტანონ ოქში და გამოაქვეყნონ პრესაში. დანარჩენი ორი კი გადაეცეს პრეზიდენტს განკარგულებისათვის. წინააღმდეგს იღებენ.

ე. პ. გეგეჭკორის წინააღმდეგ კონფერენცია ადგენს ბაქოში უსურველს გაგზავნოს დეპუტა იმ რწმუნებულების შესახებ, რომელიც აქვს კომისიას მინისტრული და წინააღმდეგ მისცენ კომისიას დაუყოვნებლივ ყარაბახში გაემგზავროს. დღის წესრიგში ოლგერ დ—ბეის მოხსენება. წარსულ სხდომაზე ადერბეიჯანის დელევაციამ წინააღმდეგ შემოიტანა და საქართველოს დელევაცია მიემხრო, რომ საკითხი დაისვას ჯერ ჩვენი მოქმედების კოორდინაციის შესახებ, შემდეგ კი საკითხი ტერიტორიალური ე. ი. დღის წესრიგის მე-2 და მე-3 საკითხი გადავესვა. მაგრამ ამ დღის ჩამოვიდა დელევაცია ყაზახიდან და ეს საკითხი დარჩა. ეხლა ჩვენ შეგვიძლია ეს საკითხი ისევ დავსვათ. (შემდეგი იქნება)

## ასპინძის ბრძოლის 150 წლის თავი 1770-1920 (გ ა გ ძ ე ლ ე ბ ა)

ერეკლეს გეგმით მოსაზრებული იყო მისევა ახალციხეზე, მაგრამ შეეცლო ლა ამის ასრულება ტოტლებენის მიერ საზოგადო საქმისთვის ლალატის შემდეგ ტოტლებენის ამის შემდეგ დროის ყოფაქცევამაც სრულიად ააშფოთა ქართველები. სურამში დაბრუნების შემდეგ ტოტლებენმა იყუო ძარცვა ვარშემოსოფლებსა; ყოველ მხრივ გაგზავნა დასტები; რომელიც შლიდნ ხიდებს და აწუხებდენ მცხოვრებლებს. ბოლოს ტოტლებენმა ხალხს დაუწყევო და დავიკება მანიფესტი, რომელშიც ეკატერინეს სახელით ბრძანება: აღარ მიეწიათ მეფეთ ერეკლე. ყველა ეს აღიარა რუსის მთავრობის მიერ გამოგზავნილმა პორუჩიკმა ლვოვმა, რომელიც, როგორც მოწამე ამ სამწუხარო შემთხვევისა, სწერდა: „ახლა ვანუდრეკლად დაადგინე, მოვა რა ტომის პოლკი, მეფე ერეკლეს ჩამოართონ ორდენი და თითონაც იგი რუსეთში წარგზავნი, თავადებსაც აგრეთვე განდევნად შეიძლება მუსრუტე მოსონი და მთელი საქართველო მის დიდებულების ქვეშევრდომად გამოაცხადონ“. ტოტლებენის ყველა ასეთმა მოქმედებამ, მეტარე კი მისი მერგამოცემულმა მანიფესტმა ააღლევა ერეკლე; ეს მას მიაჩნდა მის სუვერენულ უფლების შეზღუდვად და თავის ქვეშევრდომთათვის საცდურად. მის სწამდა, რომ ტოტლებენი მხოლოდატე რუსეთისა; რადგან კავშირი ცხადად ნაჩვენებები ჰქონდა მიზანი საქართველოში მყოფობისა და ეს მიზანი მდგომარეობდა განსაკუთრებით იმაზე, რომ ერეკლესთვის გაეწია სახმელრო დახმარება.  
ბრძოლის შემდეგ სახმელრო თათბირზე გადასწვიტეს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნ ტფილისს, რათა მიელოთ შესაფერი ზომები დასაცველად შემოსევისაგან ახალ მტერისა. ბოროტობის ხეობასა და სურამს აუქცია ერეკ-

ლე და ლაშქრით მოვიდა ტფილისს მოკლე ვით. შეიტყო რა ტოტლებენმა ერეკლე დაბრუნდა, იგი თითონაც ჩქარის ნაბიჯით სურამიდან დაიძრა ანაწურისაკენ. ამგვარად ერეკლე და ტოტლებენი, წარმომადგენელნი ორ მოკავშირე სახელმწიფოსი, იღვენ ვით მტრები, პირისპირ მზანნი მიიღნ განსაკუთრებულ ზომები ერთერთის წინააღმდეგ პირველსავე მტრულ მოქმედების დასაწყისს. მიუხედავად ამისა ერეკლე უგზავნიდა ტოტლებენს თხოვნებს გასაგრძობად მის მიერ ასე წარმატებით დაწყებულ საერთო ომია, აცნობებდა, რომ უთანხმოება დაიღუპავს საერთო საქმეს, რადგან ოსმალი ისარგებლებენ ამ მოურიგებლობით, მაგრამ ტოტლებენმა უარყო ყველა წინააღმდეგბანი.

ერეკლე გაგზავნა პეტერბურგს ცალკე საეღო ზაღ ორბელიანის მეთაურობით და თან გაყოლა ასპინძის ბრძოლის ნიშნები: 25 დროშა, 8 ვერცხლის გოგოთი, 3 ნაქედი, 2 ზამბურაკი და 2 ხმალი ოსმალთ ფაშებისა. თანვე ერეკლე სწიოდა ტოტლებენის ლალატის გამო, დაბეჯითებით ითხოვდა გამოეცვალით ტოტლებენი, რომ განეახლებინათ ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ.

საქმის გამოსაძიებლად გამოიგზავნა გვარდიის კაპიტანი იაზიკოვი. მისთვის მიცემულ გეზში განჭერტილ იყო სამგვარი შესაძლებლობა: 1) განხეთქილება ერეკლესა და ტოტლებენს შორის განიგრძობდა და ამის გამო სახმელრო მოქმედება ოსმალთ წინააღმდეგ შემდგარა; 2) ტოტლებენს ჩამოერთმევი ერეკლესთვის მისი სამფლობელო, მაგრამ ამით აუღლეებია თავის წინააღმდეგ მისი ქვეშევრდომები და ამიტომ უმოქმედო დაარჩენილა და 3) ქართველები გულგრილად მოეკიდნენ ერეკლეს ჩამოშორებას და ტოტლებენთან ერთად განაგრძობენ ომს ოსმალთა წინააღმდეგ.

მარტო ასეთნაირად კითხვის დაყენებაც კი იყო უარესი უსამართლობა; ეკატერინე იხსენებდა საქართველოს მტრულ ქვეყნად და ყოველ შემთხვევისათვის კი გვისისთვის დართულ იყო ორი მიმართვა ერეკლესადმი; ერთის ან მეორე მიმართვის გადაცემა დამოკიდებული იყო საქმის ვითარებაზე. ყოველ შემთხვევაში იაზიკოვს უნდა ეცადინა, რომ ერეკლე დაშენილიყო კეთილ განზრახვებით რუსეთისადმი. სრულიად გაუგებარი და უცნაური ქცევა მისადმი, რომელიც სვედა სიცოცხლეს და საქართველოს ბედს რუსეთის საქმის წარმატებისთვის. სხანს, პეტერბურგში მიემხრენ ტოტლებენს, მიუხედავად მისი ცხადი ლალატისა, მიუხედავად იმისა, რომ იქ მშენიერად იცოდენ ყოველი წარსული ტოტლებენისა, ასე მდიდარი მოლაღატე საქციელებით.

ამასობაში ტოტლებენმა დასტოვა ანაწური, დაამტერა იქ მყოფი ყველა ქართული ზარბაზნები და მიითვისა 200 ფუთზე მეტი წამალი. გზა და გზა ყველა ციხეებში სტოვებდა თავის მეციხოვნეებს და მცხოვრებთ აფიცებდა. 1770 წლის ივნისის უკანასკნელ რიცხვებში რუსის ჯარი შევიდა იმერეთში, საცა სოლომონთან ერთად აღეს ბაღდადის სიმარე, რომელშიაც იყო ოსმალთა მხოლოდ 30 მეციხოვნე. ასევე შრომის გაუწყველად აღებულ იქნა ქუთაისი, რომლის 60 კაციცაგან შემდგარი მცველები, მიუხედავად გადმოდგომისა, გავიდნენ ალყიდან. ამის და მიუხედავად ტოტლებენის მოხსენებაში ქუთაისის დაქერა წოდებულია იერიშად!

კაპიტანი იაზიკოვი 23 ენქენისთვის მივიდა ქუთაისის ბოლოს მდგომ ბანაკში და გადასცა ტოტლებენს ეკატერინეს ბრძანება. მიუხედავად ეკატერინეს ბრძანებისა ტოტლებენმა უარყო შერიგება ერეკლესთან, სოლომონთან უკვე წინსხებებოდა და ნება არ მისცა მიეღო მონაწილეობა ფოთის ციხის ასაღებად ვანზახულ ლაშქრობაში. ვიცირორა საქმეები, იაზიკოვი რწმუნებულ პორუჩიკ ლვოვთან ერთად მოვიდა ქართლს და 23 ოქტომბერს ნახა ერეკლე, რომელიც თავის ჯარით იმყოფებოდა ბორჩალოს. „მე მოველოდი“, — სწერდა იაზიკოვი პანინს, — მომიხბდებოდა ბევრი შრომა და მეთათბირებინა ერეკლე, რათა შერიგებოდა ტოტლებენს და გაეახლებინათ ლაშქრობა წინააღმდეგ ოსმალი მაგრამ მეფე ყოველიფერში მორჩილია და სრულიად ბრმად უერთგულებს ჩვენს დედოფალს“. ერეკლემ დაუნდინა ტოტლებენს, — განაგრძობს იაზიკოვი, — შეხედრარა გორს 24 ნოემბერს, მაგრამ ამ უკანასკნელს არ სურს, წინააღმდეგ უმალეს ბრძანებისა, მასთან შერიგება აგრეთვე სოლომონთანაც, მხოლოდ გატაცებულია ფუყე დიდებით, მარტო ფიქრობს ქალაქების აღებას, და ქუთაისსა და ფოთში— კი მის ბევრი ჯარისკაცი

შემოაკვდა და ყველა ამაოდ. ტო ლეკენი იტყობინებოდა, რომ იმერლებს არ ძალუძოთ არათუ რუსის რაზმის გამოკვება, არამედ თავის თავისაც. — „პირიქით, იმერეთში, — სწერდა იაზიკოვი, — ბევრია პური და ხვასტავი, და მარტო იმერეთი დღეს ჰკვებას ჩვენს კორპუსს... აღერით აქაურს ხალხთან ყველას გააწყობ, სიბრიკით და ზვიანობით კი მათ განიზორებენ“. 19 დეკემბრის პატაქში იაზიკოვი სწერს შესახებ რუსის რაზმის უფროსის გაუმაძღრობისა და ამ საიტყვებით ახასიათებს მას: „აქ ყოფნა გრატ ტოტლებენისა სხვა არა არის—რა, რომ შეიძინოს მხოლოდ საშოვალი, რაც საკმაოდ უკვე შეიძინა და სწორედ ამისთვისაც იზორებს თავიდან აქაურ მეფებს და ქალაქების აღებას მარტო ნებულობს. მაგალითი მის გაუმაძღრობისა სამაგეოროთ ქუთაისის: როდესაც ციხიდან გამოდოდნენ მშორი ადამიანები და უმეტეს ნაწილად დედაკაცები ბარგით, გრატე გზავნიდა აფიცრებს გაეძარცვათ, თითებიდანაც კი აძრობდა ბეჭედებს, უტოვებდა მხოლოდ პერანგებს, და წართმეული ყველა მოქქინდათ მასთან პანაკში“. იაზიკოვი საჭიროდ ხედავდა დაუყოვნებლივ გადაეყენებინათ ტოტლებენი. (შემდეგი იქნება)

## იუსტიციის საინსტრუქუი მოხილიწაციისათვის.

იუსტიციის მინისტრმა რ. მ. არსენიძემ ცირკულირულად აცნობა სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებათ, რომ არავითარი შუამდგომლობა სახმელრო სამსახურში გაწვევის გადადების შეწყნარებულ არ იქნება სამინისტროს მიერ. ყველა მოხელეები, ვინც ჯარში უნდა გაწვეულ იქნას გამოცხადებულ მოხილიწაციის, უკლებლივ და დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნ ბეგარის მოსახლედად.  
საპრობილეების დათვალიერება. მისის 1-ს იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორმა ტ. თ. ჟორდანამ სასამართლო პალატის პროკურორის მ. ა. ტატიშვილის თანხლებით დათვალიერა ტფილისის საპრობილეები.  
საპრობილეებში მოსამსახურეთა ჯამაგირები. იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება გაცა საპრობილეთა ინსპექციისადმი, რათა დაუყოვნებლივ იქნან მიღებულ ჯამაგირით საპრობილეების მოხელე—მოსამსახურენი და შემდეგშიც წესიერად, ყოველ მიმდინარე თვის 20-ს ექვოდეთ მათ ხვედრი ჯამაგირები განიხით დაწესებულ დამატებებით.

## ავჭალის კალონია.

ავჭალის მკარე-წლოვან დამნაშავეთა გამსწორებელ კოლონიის საზოგადოების ახლად არჩეულ გამგეობა, იუსტიციის მინისტრის რ. მ. არსენიძის თავმჯდომარეობით, შეუღდა კოლონიის საქმის მოწესრიგებას. უკვე გაიმართა რამდენიმე სხდომა გამგეობისა. ამ ყაბად კოლონიაში 36 მოწაფე იმყოფება. დირექტორობას განაგრძობს კ. კ. კუკონია.

## ბურიის მკობის ხმაანათა მეორე ყრილობა

(გავრძელება)  
სწავლა-განათლების საქმე. სწავლა-განათლების საქმის შესახებ მხარაში მოკლე მოხსენებით გამოდის გამგეობის წევრი-სასკოლო განყ. გამგე პლ. კვიციანი. ის ამბობს, რომ სასკოლო განყოფილება ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს თავის ნამდვილ დანიშნულებას; მის დანიშნულებას შეადგენს არა მარტო სკოლებზე ზრუნვა, არამედ დღევანდელი მომენტი აუცილებლათ მოითხოვს, რომ განყოფილება მოაწყოს სკოლის გარეშე სწავლება და საზოგადოთ იზრონოს ხალხში სულტურის შეტანაზე. მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით ამის საშუალება არა გვაქვს, რომ ჩვენ სკოლები ჩავიბარეთ სრულიათ განადგურებული, იმათ აღდგენას და სათანადო სიმაღლეზე დაყენებას დიდი შრომა და ხარჯები დასჭირდა; არ გვყოვედა საკმაო კანტიგენტები მოხმადებულ მასწავლებელთა; მატერიალური მდგომარეობაც მასწავლებლების უკადრისა იყო. განყოფილება მუდამ-დღე იმაზე ზრუნავდა, რომ მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო; ამ მიზნით მრავალხელ აღძრა შუამდგომლობა გამგეობამ მთავრობის წინაშე და თავის მხრითაც დაუმუტა ჯამაგირზე ცოტა რამე, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ, როცა მთავრობამ ცოტათი გააუმჯობესა მასწავლებლებ-

ბის მდგომარეობა, იძულებული შეიქნა უსასრობის გამო ეს დამატება მოეხსნა. გამგეობამ უკვე შიშისგან აგრეთვე მასწავლებელთა ჯამაგირებით თავის დროზე დაკმაყოფილების საქმე; გადიოდა თვეები, რომ მასწავლებლები ჯამაგირებს ვერ ღებულობდნენ, ესლა-კი გამგეობის კდით ასეთ გარემოების ადგილი აღარა აქვს.

დაბალი სკოლები დღეს საქმარისადა გურიაში. მათი რიცხვი 160-ს აღწევს, სკოლა თვითონ სოფელშია, გამგეობა მთავრობის კრედიტს ამ სკოლებზე ბევრს ამატებს თავის საშუალებიდან, თავის ხარჯზე ინახავს რამდენიმე კომპლექტს, და აგრეთვე ხელსაქმისა და საფეიქრო განყოფილებებს ამ სკოლებში.

გურიაში 23 უმაღლეს დაწვებითი სსწავლებელია, ამთხ 21-ს ინახავს ერობის გამგეობა ვასული წლის ენქენისთვიდან, მათი შენახვა ბევრი უჯდება ერობას, მთავრობა ამ სკოლებზე, გამგეობის შუამდგომლობის თანახმად, ავრცელებს მომატებებს დეკრეტების თანახმად; ძირითად ჯამაგირებისა და სხვა სასკოლო-სამეურნეო ხარჯებს იხდის ერობის გამგეობა.

რომ რამდენიმე წინაშე შეგვესაუბროდო მდგომარეობა მომხდებულ სახალხო მასწავლებელთა უქონლობის მხრით, გამგეობამ გასულ წელს მოაწყო საზაფხულო პედაგოგიური კურსები, რომელმაც მისცა გურიის სკოლებს 80 მომხდებელი მასწავლებელი, ამთხში რამდენიმე ახალი, დანარჩენი-კი ყოფილი მასწავლებლები. გამგეობას ამ ზაფხულიში დაეცა აქვს გადაწყვეტილი შ-თვიანი კურსების მოწყობა, რაც ყრილობას მოხსენდება ხარჯთ-აღრიცხვის წესით. ჩვენ მოვაწყვეთ აგრეთვე რევიზიის საქმე; სკოლების მთავარი ინსტრუქტორი ახდენს ამ რევიზიას, მაგრამ არა მარტო რევიზიას არამედ ის რევიზიის შემდეგ ადგილობრივთა თემებში აწყობს მასწავლებელთა მოკლე ვადიან კურსებს, რასაც ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს და ნაყოფიც მოიტანა.

გამგეობამ აღძრა აგრეთვე შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მზრახვი დაარსდეს საოსტატო სემინარიები—ოზურაგეთში ძირითადი და ლანჩხუთისა და ჩოხატაურში პარალელური კლასების სახით, რაზედაც მას მთავრობიდან პრინციპალური თანხმობა უკვე აქვს.

ჩვენ მივიღეთ ჩვენს განკარგულებაში ჩოხატაურის კერძო გიმნაზია და მით უზრუნველყავით მისი არსებობა.

შეიძლება ითქვას, რომ მზრახვი ოთხწლიანი საყოველთაო განათლება თითქმის განხორციელებულია, არსებული დაბალი სკოლები თითქმის ყველა სასკოლო ასაკის ბავშვებს იტყვის. მეორე ოთხწლიანი, იმედს გვაქვს, ადრე გვექნება, ამ ნიადაგზე ვაწარმოებთ მგზობას, ვარკვეთ სკოლას გარეთ დარჩენილი ბავშვების რაოდენობას, რომ ენქენისთვიდან მათაც მიეცეთ საშუალება სწავლისა.

ამ ეპოქაში გამგეობის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია სკოლის გარეშე განათლების მოწოდებაზე, ეს არის დღეს ცენტრა ჩვენი მოქმედებისა.

# სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საქასაცოიო დეპარტამენტის განყოფილების საქარებულო 1920 წლის მაისის 21 სხდომაზე დანიშნულ საქმეთა ნუსხა. სხდომის გახსნა დილის 10 საათზე.

1. საქმე სოფიო და სხვა გოზალოვების როკე გოზალოვის მამულის მიხედვით ივანეს ძის ჰავანისის სახელზე დამტკიცების თაობაზე.
2. საქმე ავგუსტ იავორის ძის ზეზემანის შეუძლებელ მოვალედ ცნობის თაობაზე.
3. საქმე სამსონ ბოგდანის ძის კაფიევის გარდაცვალებული ნერსეს კაფიევის ობლდების და ქონების მოურავეობის საქმის თაობაზე.
4. საქმე დუსა კივილაშვილისა ნიკა კვირიკაშვილთან, ნიკა ძამიაშვილთან და გიგა ძამიაშვილთან სახლის დაცლის და 398 მან. გადახდის თაობაზე.
5. საქმე სიმონ ქორჭაშვილის ეფროსინე გვანცელაძესთან ბინიდან გაძევების თაობაზე.
6. საქმე სერგეი ჩხნაჩიანის ანა ვართანოვისთან ისაკივის როგორც მესამე პირის მონაწილეობით ბინის განთავისუფლების თაობაზე.
7. საქმე ალექსანდრე ტულიოზეროვისა

ელენე ვეტერასთან ოთახის განთავისუფლების თაობაზე;

8. საქმე ეფროსინე ლიტვინენკოსისა, დიმიტრი ვირტოვის და ივანე მურატჩანის მიმართ 250 მან. და ბინის დაცლის თაობაზე. 13 მაისს.

9. საქასაციო საჩივარი გეორგ ვლახას ძის ძამოვიისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული დამნაშავედ არის ცნობილი თანახმად 1180 მუხ. სასჯ. დებ.

10. საქასაციო საჩივარი ბრალდებულ მალახია ჯოზავასი სოხუისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ჯოზავა თანახმად 1454 მუხ. სასჯ. დებ. დამნაშავედ არის ცნობილი.

11. საქასაციო საჩივარი ბრალდებულ ხიპა ზიკლაძესი და მიხეილ სიჯიასი, სოხუმის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი დამნაშავედ არიან ცნობილი თანახმად 1629 მუხ. სასჯ. დებ.

12. საქასაციო საჩივარი ბრალდებულ იოსებ სოლომონის ძის პერლშტეინისა. ტფილისის საოლქო სასამართლოს განაჩენზე.

13. საქასაციო საჩივარი ბრალდებულ ივანე ფილაქეს ძე ბელიკოვისა ტფილისის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე.

# მილიციაში

ათ მაისს, სენატორმა ჯაფარიძემ განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მის ბინიდან მოჰპარეს ნივთები, ღირებული 80 ათასი მ. მას ექვი აქვს მხახურ ქალზე ანა სალოკოვაზე, რომელიც ათ მაისს დილით მიიძალა. საღამოს ათ საათზე სისხლ. სამ. მილიციის აგენტებმა აღმოაჩინეს სალოკოვა ბათუმში მიმავალ მატარებლის ვაგონში, მას აღმოაჩნდა ჯაფარიძის ყველა ნივთები, რომელიც პატრონს გადაეცა. სალოკოვა დაპატიმრებულია.

პირველ მაისს, ლაგოდის ქ., № 16, მცხოვრებმა ვასილ გ. ბაღდასაროვმა, ფოსტის ქ., № 7, მცხოვრებმა ივანე ზ. კენქეზაშვილმა და ფალავანდიშვილის ქ., № 23, მცხოვრებმა ერასტი ი. ტოვანძემ მიიღეს ცნობა უცნობ პირისგან, რომ ნავთულში, რეიტეროვის ბაღის მახლობლად იყიდება სხვა და სხვა დიდი თანხის საქონელი. სამ მაისს საღამოს 6 საათზე აღნიშნული პირნი ფულით წავიდნენ დანიშნულ ადგილას და დღემდე არ დაბრუნებულან. სისხლის სამარ. მილიციამ სათანადო ზომები მიიღო.

# ახალი აშკაბი

ექიმ სურგულაძის ნეშტი, რომელიც განდა მსხვერპლი ბოროტმოქმედებისა, ჩამოსვენეს კვირას, 9 მაისს აჭარადან და გუშინ დაკრძალეს. დაკრძალვას დაესწრნენ: დამფუძნებელ კრების წევრნი, მინისტრები და მრავალი ხალხი.

ქალაქის მიწების გამგეთ დანიშნა ივ. შატერაშვილი.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ სასურსათო განყოფილებას მოკლე ვადით ასესხა 25 მილიონი მანეთი სასურსათო ოპერაციებისათვის.

ქალაქის თვითმართველობის კომისიამ დამთავრა ქალაქის აბანოების რევიზია; სარევიზიო კომისიამ საჭიროდ ცნო დაიხუროს უფასო აბანოების მამაკაცთა განყოფილება, რადგანაც იქ ძალიან ცოტა ხალხი დიდის და დაწესოს იაფ-ფასიანი ბლიეტები. აბანოებით უფასოთ ისარგებლებენ ობლები და ჯარისკაცები.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდით ქ. შ. წ. ქ. გამავრცელებელ საზოგადოების გამოცემა მელანის მოთხრობა „ზნელო“.

ქალაქის გამგეობამ ტფილისის კლუბებს სატრაქტორო გადასახადის სახით ვააწესა 1.690,000 მან. აქედან „კრუუოკს—80 ათასი მან. არტიტული საზოგადოებას—80 ათას მ. სომხულს—100 ათასი მ. მე-2-რე ქართულ კლუბს—100 ათასი მანეთი, პოლონურს—155 ათასი მან. მუსულმანთა კლუბს—155 ათასი მან. პირველ ქართულ კლუბს—255 ათასი მან. სახელოსნო კლუბს—85 ათასი მან. უნიონს—120 ათასი მ. დასახიარებულ მეომართა—135 ათასი მან.—სამხატვროს—155 ათასი მან. საზოგადო სპორტბულოს—115 ათასი მან., ელინთა კლუბს—155 ათასი მან.

ტფილისის ქალაქის სამკუს მიღივანა ვ. ხახანაშვილმა შეადგინა და უკვე დაიბეჭდა წიგნი „თვითმართველობათა ფინანსური უწყლებები“.

სიღნაღის სამხრო საერობო გამგეობა ქ. სიღნაღში ამა წლის მაისის ბოლო რიც-

ხვებიდან ჰხსნის კორსებს იმ პირთათვის, რომელთაც გაუთავებიათ უმაღლესი პირველ დაწვებითი სსწავლებელი ან ოთხი კლასი გიმნაზიისა და სურთ მოემზადნენ მასწავლებლობისათვის. დღე კურსების გახსნისა კიდევ იქნება გამოცხადებული გაზეთებში.

დამფუძნებელ კრების შრომის კომისიამ მიკრე ცვლილებებით მიიღო სოკიალური დახმარების წესდების პროექტი.

ქალაქის გამგეობამ დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან გამგეობის წევრი ი. ბესელიძე, სოკიალურ დახმარების გამგე ათაბეგოვ-თუბასი და ერთი ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელი. ამ კომისიამ უნდა განიხილოს ტრამვაის მუშების და ქალაქის გამგეობის შრომის დასადებ კოლექტიურ ხელშეკრულობის ორი პროექტი. ერთი ქალაქის გამგეობისა, მეორე ტრამვაის მუშებისა, შეუფარდოს ერთმანეთს და ქალაქის გამგეობას წარუდგინოს ერთი შემუშავებული პროექტი კოლექტიურ ხელშეკრულობისა.

ქართულ მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა გამოსცეს სალიტერატურო-საპედაგოგიო ჟურნალი.

გამოვიდა და იყიდება საქართველოს რესპუბლიკის ერობათა და ქალაქთა კავშირების ორგანო „ერობა და ქალაქი“ № 6 ფასი 50 მან. წელიწადი მე-3. შინაარსი: ქართულად: ლეევან ნათაძე—ეროვნული საკითხი და თვითმმართველობა. ი. სალაყაია—ცენტრალური მთავრობა და თვითმმართველი ორგანო. პროფ. ს. ავალიანი.—საფუთო გადასახადი. ვ. ხახანაშვილი.—თვითმმართველობის ფინანსური უწყლებები და სხვ.

# ბ ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა ნ ი

დავკარგე მოწმობა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული, რასაც გაუქმებულათ ვაცხადებ. შალვა ათანასის ძე შათირიშვილი. 997 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქუთათელაძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 996 3-1

დაიკარგა პასპორტი ორბეკაშა ლომეს ასული ჩაჩანაშვილის სახელზე, მიღებული ახალციხის კომისარისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი მოცემული ტფილისის პოლიცემისტისგან № 3488 21/III 1918 წ. გრიგოლ დავითის ძე ნარიშანივის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 873 3-1

დაიკარგა ოვანეს შოგოიანის, ავღაბრის ფერმაში მღებარე სახლის დავთარი, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 962 3-1

ვალენტინა ტორანსკაიას მიერ დაკარგული პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესასვლელი ბილეთი № 106, რომელიც ითვლება გაბათილებულათ. 911 3-1

დაკარგულია პასპორტი № 5284, მიღებული ტფილისის პოლიცემისტისგან 1913 წ. ქსენია უხოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 881 3-1

დაიკარგა ანჯაფარიძის და ზოდელავას, ტრამვაის ქუჩაზე № 36 მღებარე სახლის დავთარი. ვეუქმებულათ ჩაითვალოს. 946 3-1

დაიკარგა პასპორტი № 18977 დვანდოსმან ოლის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 947 3-1

დაიკარგა ივანე ოძელაშვილის, პრიუტის ქუჩაზე № 36 მღებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 348 3-1

დაიკარგა საზღვარ გარეთელი პასპორტი დავით-ხაიმ მიხეილის ძე თეთრუაშვილის სახელზე, მიღებული საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 857 3-3

დაიკარგა პავლუნისკის ქუჩაზე № 30 მღებარე სარკის შხნაზაროვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 859 3-2

დაიკარგა პავლიუნისკის ქუჩაზე № 23 მღებარე გიორგი ხიზანიშვილის სახლის დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 858 3-2

დაიკარგა პასპორტი ეგნატე პავლეს ძე მიშელაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 872 3-3

დაიკარგა პასპორტი მინა გელევანის ძე ლომიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცემისტის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 876 3-2

კირა ეგნატეს ასული აკრიბოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, მ-ს მამულზე, რომელიც მღებარეობს ქ. ტფილისის მე-5 უბ., ქალ. № 1025 და შეიცავს მიწის ნაჭერს 54 კვ. ს. შენობებით. სიგელი დამტკიცებულია ტფ. ოლქ. სასამ. უფროსის ნოტარიუსის მიერ 1917 წ. იანვ. 19-ს, რეესტრი. № 136. 833 2-2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 4 და პოლიტექნიკუმში შესავლელი ბილეთი № 44 მიღებული ტფ. პოლიტექნიკუმიდან ტრასის ივანეს ძე ქუთათელაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 922 3-2

დაიკარგა პასპორტი მიღებული კელაშის თემიდან და სამხედრო სამსახურის ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. არონ მოშას ძე მირელაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 924 3-2

დაიკარგა ექვი თვის პასპორტი ხაჩატურ იოსების ძე არიუთინოვის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 874 3-2

დაიკარგა სამხედრო ბევრისაგან თავისუფლების მოწმობა მიხეილ ლევანის ძე ლუარსაბაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 875 3-2

დაიკარგა მატრიკული № 1602 სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის 1 კურსის მსმენელის თამარ ალექსანდრეს ასული მათიაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3-2

დაიკარგა სამხედრო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა შალვა ამირანაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 963 3-2

დაიკარგა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერის ტარების ნებართვა 6390 ვარლამ იოსების ძე გიორგობიანის სახელზე მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან. 911 3-1

დაიკარგა დაბადების მოწმობა № 173 აშოტ ასატურის ძე მადატოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტექნიკური ინსტიტუტისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 919 3-2

დაიკარგა პასპორტი № 7762 ბაგრატ ნიკოლოზის ძე შხნაზაროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 921 3-2

ივლიანე სოფრომის ძე ბესილია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთათის ყოფილ სათავად ახნაშრო გიმნაზიაში 4 კლასის დამთავრების მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 964 3-2

დაიკარგა პასპორტი ვერა იოსების ასული ბაქრაძის სახელზე, მიღებული თელავის მაზრის უფროსის სამმართველოდან 1904 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 830 3-3

დაიკარგა პასპორტი № 1145 გიორგი გრიგორის ძე შატველოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 842 3-3

არტაშეს გრიგოლის ძე მამიკონოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გირავნობის მოწმობა, რომლითაც ისიღორე ბეჟანის ძე და მარიამ მაქსიმეს ასულმა მიქანაძეებმა დაუგირავეს მას მამული, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსის მიერ 1920 წ. 21 თებერვალს, რეესტრი № 323. 813 3-3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი დარისპან ამირანის ძე გაგინდის სახელზე, მიღებული საქართველოს წარმომადგენელიდან ქ. ბაქოში 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 880 3-2

დაიკარგა გეორგ მანთაშვიის ნავთულში მღებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ) 3-2